ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

არასამეწარმეო / არაკომერციული / იურიდიული პირი
ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მიერ
და 2022 წლის პერიოდში გაწეული საქმიანობის
შ ე ს ა ხ ე ბ

ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
2022 წლის პერიოში საქმიანობას აწარმოებს კულტურის ცენტრის წესდების და მისი ძირითადი ამოცანების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აწარმოებს საფინანსო – ეკონომიკური საქმიანობას მის აღრიცხვა ანგარიშგებას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ამოცანებია:

ა) მოქალაქეთა განათლებისა და კულტურული ჩვევების ამაღლება, მოზარდთა ესთეტიკური ჩვევების ჩამოყალიბება.

ბ) მოსახლეობისათვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა.

გ) მატერიალური და არამატერიალური კულტურის ნიმუშების შენარჩუნება და პოპულარიზაცია.

დ) ქართული სიმღერისა და ცეკვის, ასევე თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის ზრუნვა.

ე) კულტურული ღონისძიებების, გამოჩენილ შემოქმედთა საიუბილეო საღამოების, სახალხო დღესასწაულების, ახალგაზრდული შეკრებების, გართობის მოწყობა, ორგანიზება.

2022 წლის პერიოში ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთნხმებით დავამტკიცეთ საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი.

განსაზღვრეთ თანამშრომელთა დატვირთვის ოდენობა. დარგობრივი მიმართულებით გადავანაწილეთ ფუნქციები, შეიმუშავეთ და დავამტკიცეთ სამუშაო გეგმები და სხვადასხვა პროგრამები.

გავაფორმეთ შრომითი ხელშეკრულებები შტატგარეშე თანამშრომლებთან და მოწვეულ სხვადასხვა ჟანრის შემსრულებელ პროფესიონალ მუსიკოს შემსრულებლებთან.

ა /ა/ ი პ ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი დაყოფილია ორ დარგობრივ მიმართულებად:

1) მუსიკალურ და თეატრალური კოლექტივები.
2) საკლუბო ქსელები და სხვა კულტურული ობიექტები.

1. მუსიკალური და თეატრალური კოლექტივებია:

ა) გრ. მდივნის სახელობის ცაგერის სახალხო თეატრი.
ბ) საბავშვო – მუსიკალური თეატრი.
გ) ფოლკლორული ანსამბლი "სალაღობო".
დ) კამერული გუნდი
ე) ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორული ანსამბლი "ხვამლი".
ვ/ ქალთა ანსამბლი ,,მერდინი“

2022 წლის პერიოდში და დღესაც ყველა აქ ჩამოთვლილ მუსიკალურ –, თეატრალური კოლექტივს აქვს სრულყოფილი პროგრამა. სრულ მზადყოფნაშია რეგიონალურ და რესპუბლიკურ ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად და თავისი მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად ხელოვნების განვითრებისა და წინსვლის საქმეში.

2022წლის პერიოდში მუსიკალურ – თეატრალურ კოლექტივების, ინდივიდუალური მომღერლების, შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი,საკონცერტო პროგრამის საფუძველზე მოწვეული პროფესიონალი მუსიკოს შემსრულებლების მონაწილეობოთ, ჩატარებულია 17 კულტურული ღონისძიება.

კულტურის ცენტრთან არსებულმა მამაკაცთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „სალაღობომ“ მონაწილება მიიღო საერთაშორისო ფესტივალ კონკურსებზე გაიმარჯვეს სხვადასხვა ნომინაციებში და დაჯილდოც გადაეცათ.

2022 წელში საბავშვო მუსიკალური თეატრის მიერ დადგმული იქნა საბავშვო მიუზიკლი „. სხვისი ორმოსა მთხრელმა თავისი მოითხარაო“ /პრემიერა/. და მაყურებლების მოთხოვნით გაიმართა განმეორებით.

2021 წელში და 202 2 წელსაც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის, საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გვქონდა და გვაქვს რეკომენდაციები და საქმიანი წინადადებები , ქართული ფოლკლორის, ლეჩხუმურ ფოლკლორის, მოვლა, დაცვა, გაცოცხლება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა, სადაც ჩვენ ვთანამშრომლობთ, რომელიც არის ასევე კულტურის ცენტრის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება.

2022 წლის აპრილის თვეში ცაგერის კულტურის ცენტრში ჩატარდა ერონული დათვალიერება ფესტივალი „ ლეჩხუმური ფოლკლორი“სადაც მონაწილეობა მიიღო კულტურის ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ სალაღობომ“.

კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ფილკლორული ანსამბლ „ ხვამლი „-ს წევრები , მომავალი თაობა, სწავლობს სხვადასხვა ჟანრის სიმღერებს, მონაწილეობენ ასევე სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, რომელიც არის კულტურის ცენტრისათვის პრიორიტეტული მიმართულება.

2022 წლის დეკემბერში გაიმართება სპექტაკლი „ ადამიანთა სევდა“ /პრემიერა/ და საახალწლო კონცერტი „ გილოცავთ შობა ახალ წელს

შენიშვნა : 2022 წელში, ა. ა იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ჩატარებული სადღესასწაულო დღეებთან მიძღვნილი კონცერტების, საერთაშორისო ფესტივალ კონკურსებზე მიღებული მონაწილეობის, გასვლითი კონცერტების შესახებ ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი თან ახლავს
/დანათი 2 ფურცლად.

ა. ა. იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის

დირექტორი /დარეჯანი საღინაძე- ძნელაძე

2022 წელში ჩატარებული ღონისძიებები

1. 202 2 წლის 7 იანვარს, გილოცავთ „ შობა -ახალ წელს“ სადღესასწაული კონცერტი.

1.2022 წლის, 2- თებერვალს წმ. მაქსიმე აღმსარებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიება

2. 2022 წლის წლის 3-მარტს დედის ღღესთან დაკაშირებით, 8-მარტს ქალთა დღესთან დაკაშირებით მიძღვნილი სადღესასწაული კონცერტი.

4 2022 წლის 8- აპრილს, ეროვნული დათვალიერება ფესტივალი ლეჩხუმური ფოლკლორი რეგიონალური ღონისძიება ფოლკლორული კონცერტი

5. 2022 წლის 14 აპრილს , დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

6. 2022 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკაშირებით მიძღვნილი სადღესასწაულო კონცერტი/ რეგიონალური ღონისძიება/.

7. 2022 წლის 1- ივნისს, ბავშვთა საერთაშორისი დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიება

8. 2022 წლის 06 ივნისს მიუზიკლი. „ სხვისი ორმოს მთხრელმა, თავისი მოითხარაო“

9. 2022 წლის 30 ივნისს , კულტურის ცენტრის ფოლკლირული კონცერტი

10. 2022 წლის 14 ივლისს, სალონური საღამო ,, ჩვენ ვცხოვრობთ თეატრით“.

11 .2022 წლის 13- აგვისტოს, ქ. ქობულეთში ხელოვნების მე-19 საერთაშორისო ფესტივალი კონკურსზე „ნარიჯისფერი ქობულეთი „ გასვლითი კონცერტი.

12. 2022 წლის 26 აგვისტოს , წმ. მაქსიმე აღმსარებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიება.

13.2022 წლის 9-სექტემბერს, ქ. ონში „ონელობა „ სახალხო დღესასწაულზე“ გამართული /გასვლითი კონცერტი/

14.2022 წლის 18 სექტემბერს, ქ. ლენტეხში „ ლენტეხობა „ სახალხო დღესას წაულზე, გამართული გასვლითი კონცერტი.

15. 2022 წლის 30 სექტემბერს სალონური საღამო“ახალგაზრდობის ფერი აქვს ზეცას“

16 .2022 წლის 1- ოქტომბერს ქ. თბილისობა თბილისობის სახალხო დღესასწაუზე გამართული გასვლითი კონცერტი

17. 2022 წლის 22 ოქტომბერს, პოეტ ლადო ასათიანის 105 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიძღვნილი კონცერტი სოფელ ბარდნალაში,
ლეჩხუმლობა 2022 მიძღვნილი კონცერტი „მწვანე თეატრი"- ში